




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 19

2015 წლის 7 მარტი



ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №143 განკარგულებაში
„ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების
ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის
პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

სოფლებში: ოსიაურის, ვაყის და ალის სპორტული დარბაზებისათვის ხუთი საშტატო ერთეულის: სამი ექთნის და ორი დამლაგებლის შტატის დამატების და ბატუტის მწვრთნელ-მასწავლებლის ხელფასის ზრდის მიზნით საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №143 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2016 წლის №1415/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №143 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება: კერძოდ, პროგრამის №1 დანართი– ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრებისჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ.#15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

**ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების
ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების
ხელშეწყობის პროგრამა**

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 12 ძირითად სახეობაში. მეცადინეობები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

2. პროგრამის არსი

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, პირველ რიგში, მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მათი მამაკაცებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისთვის. ამასთანავე, ქმნის და ავითარებს სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საწვრთნელო ბაზებს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას, მომუშავეთა შრომის სტაბილურ ანაზღაურებას და დამსახურებულ მწვრთნელთა (რომელთაც შესაბამისი ფედერაციებიდან მიეცემათ დამსახურების მოწმობა) წახალისებას, რომლებიც აღზრდიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს დიდებში ან გუნდურ სპორტის სახეობებში გაზრდიან ეროვნული ნაკრების წევრებს.

3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყოფა 303 400 ლარი, რომლითაც დაფინანსდება ჩასატარებელი საათები სპორტის შემდეგ სახეობებში: ქ. ხაშურში: ქართული ჭიდაობა (3ჯგუფი) ჭიდაობა ძიუდო (3ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (4ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1ჯგუფი), ჭადრაკი (3ჯგუფი), კალათბურთი (8 ჯგუფი), ფეხბურთი (15 ჯგუფი), ჩოგბურთი (1ჯგუფი), ძალოსნობა (2ჯგუფი). რაგბი (3 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (1 ჯგუფი)

ასევე მეცადინეობები ჩატარდება დაბა სურამში: ჭადრაკი (1 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), რაგბი (1 ჯგუფი), სოფლებში: სოფ. ვაყაში – ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. გომში – ჭადრაკი (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი (2 ჯგუფი), სოფ. ქინძათი – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი); სოფ. კლდისწყარო ძალოსნობა (1 ჯგუფი).

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება;
სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

6. შეფასების ინდიკატორი

სხვადასხვა დონის ტურნირებზე წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობა.